

შპს „ბრაუნი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

ფინანსური მდგომარეობა		2022	2021
მიმდინარე აქტივები:			
ფული და ფულის ეკვივალენტი	1	605 064	475 452
სავაჭრო მოთხოვნები	2	605 548	93 010
მარაგები	3	3 704 068	2 312 545
გადახდილი ავანსები		-	559 450
სულ მიმდინარე აქტივები		4 914 680	3 440 457
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები		1 349 320	1 344 571
საინვესტიციო ქონება	4	265 510	291 622
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 614 830	1 636 193
სულ აქტივები		6 529 510	5 076 650
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	2 702 013	2 514 538
საგადასახადო ვალდებულებები			0
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი		32 775	64 963
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2 734 788	2 579 501
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	6	481 761	1 044 400
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		481 761	1 044 400
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		3 312 961	1 452 749
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6 529 510	5 076 650

დირექტორი:

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

საქმიანობის შედეგი		2022	2021
ამონაგები:			
საქონლის გაყიდვიდან	7	2 868 009	2 219 473
მომსახურების გაწევიდან	7	180 192	83 220
სულ ამონაგები		3 048 201	2 302 693
პირდაპირი დანახარჯები:			
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(821 773)	(981 775)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(0)	(0)
სულ პირდაპირი ხარჯები		(821 773)	(981 775)
საერთო მოგება		2 226 428	1 320 918
არაპირდაპირი ხარჯები:			
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	(351 885)	(99 495)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(59 781)	(49 265)
სულ საოპერაციო ხარჯები		(411 666)	(148 760)
საოპერაციო მოგება		1 814 762	1 172 158
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(25 807)	(38 020)
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)		(-)	(-)
სხვა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)		(32 872)	49 240
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(57 034)	(9 728)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1 699 049	1 173 650
მოგების გადასახადი		13 003	170 935
მოგება/(ზარალი)		1 686 046	1 002 715
სხვა შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		1 686 046	813 346

დირექტორი:

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი		1 574 247	1 574 247
პერიოდის სრული შემოსავალი		1 002 715	1 002 715
გაცემული დივიდენდი	-	(1 124 213)	(1 124 213)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	0	1 452 749	1 452 749
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 686 046	1 686 046
გაცემული დივიდენდი	-	(73 684)	(73 684)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	247850	247850
		-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	0	3 312 961	3 312 961

დირექტორი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბრაუნ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2014 წლის 13 ნოემბერს, თუმცა აქტიური ოპერირება დაიწყო 2015 წლის ბოლოდან. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406131662.

ძირითადი საქმიანობა. შპს ბრაუნის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. 2015-2016 წლებში კომპანია ბრაუნმა მოახდინა მხოლოდ ერთი 10 სართულიანი კორპუსის აშენება სამგორის რაიონში, ხოლო 2017-2018 წლებში ააშენა ორი იდენტური კორპუსი დიღომში, დავარის ქ #21-ში. 2019 წლის განმავლობაში თითქმის დაასრულა ქ თბილისი, დავარის #21- ში არსებული მშენებლობა. 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ დაასრულა მშენებლობა დავარის ქ #21 და ბინების დიდი ნაწილის რეალიზაცია მოახდინა. 2021 წელს კომპანიამ დაიწყო მშენებლობა ქ თბილისი, სუხიშვილის #7-ში. 2022 წელს მიმდინარეობდა მშენებლობა ქ თბილისში, სუხიშვილის ქ#7-ში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე პროექტს. კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 10-12 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილისა და კოპცოვის ქუჩის გადაკვეთაზე/კახეთის გზატკეცილის, მიმდებარედ (ნაკვეთი58/007), კახეთის გზატკეცილის, მიმდებარედ (ნაკვეთი58/008)

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

1. 40001005656, ლევან ნასყიდაშვილი 25%
2. 40001005176, ტარიელ ნასყიდაშვილი 25%
3. 40001004626, ავთანდილ ნასყიდაშვილი 25%
4. 40001033049, ირაკლი ნასყიდაშვილი 25%

კომპანიის დირექტორია ლევან ნასყიდაშვილი.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს- თან სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის	
	ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2023 წლის 1 იანვარი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის/მიწოდებული საქონლის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შენიშვნა 1		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	442	56 996
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	197 270	94 457
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	407 352	323 999
სულ	605 064	563,383

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	503 063	-
გაცემული ავანსები	102 484	93 010
სხვა მოთხოვნები	0	0
	605 547	93 010

შენიშვნა 3

მარაგები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
ნედლეული და მასალები	92 714	450 551
დაუმთავრებელი წარმოება	3 488 454	971 529
მზა პროდუქცია	0	859 123
სათადარიგო ნაწილები	122 900	31 342
სხვა მარაგები	-	-
	3 704 068	93 010

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

ლარში	შენიშვნა საინვესტიციო -ნაგებობები	ქონება	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივები	მიწის ნაკვეთი	ჯამი
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	109 789	291622	8940	98 846	932	1 252 556	1 762 685
შესყიდვა/გასვლა	(32884)	-	-	4485 (42)	-	-	(28449) (42)
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	76905	291622	8940	103 289	932	1 252 556	1 734 194
დაგროვილი ცვეთა							
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	15739	12138	5502	59850	380	-	93 609
ცვეთის ხარჯი	3058	13974	687	8003	83	-	25805
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი							
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	18797	26 112	6189	67853	463	-	119414
ნარჩენი საბალანსო ღირებულება							
2021 წლის ბოლოს	61166	279484	3438	38997	551	1 252 556	1 636 193
2022 წლის ბოლოს	58108	265510	2751	35436	469	1 252 556	1 614 830

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
-------	------------	------------

სავაჭრო ვალდებულებები	7 342	9 939
მიღებული ავანსები	2 690 933	2 691 921
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	3 738	-
	2 702 013	2 701 860

შენიშვნა 6

მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი

მოკლევადიანი სესხები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	32 775	64 963
გადასახდელი პროცენტი		-
სულ მოკლევადიანი სესხები	32 775	64 963

გრძელვადიანი სესხები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი სესხები	481 761	1 044 400
სულ გრძელვადიანი სესხები	481 761	1 044 400
სულ სესხები	514 536	1 109 363

შენიშვნა 7

ამონაგები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	2 791 229	2 219 473
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	76 780	83 220
სულ	2 868 009	2 302 693

შენიშვნა 8

სხვა შემოსავლები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
საპროცენტო შემოსავალი	805	177

სხვა შემოსავალი	179 387	89 708
სულ	180 192	89 885

შენიშვნა 9

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარში	31/12/2022	31/12/2021
შრომის ანაზღაურება	(351 885)	(99 495)
ცვეთა და ამორტიზაცია	(25 807)	(38 019)
ქონების გადასახადის ხარჯი	(4 414)	(4524)
საბანკო ხარჯი	(2831)	(3776)
დაცვის ხარჯი	(22881)	(20362)
კომუნიკაციის ხარჯი	(8567)	(5178)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	(18649)	(15277)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(1216)	(148)
სულ	(436 250)	(186 779)

შენიშვნა 10

სხვა ხარჯები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
სხვა ხარჯები	(1223)	(763)
სულ	(1223)	(763)

შენიშვნა 11

ფინანსური დანახარჯები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
საპროცენტო ხარჯი	(32872)	(40645)
სულ	(32872)	(40645)

შენიშვნა 12

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

1. 40001005656, ლევან ნასყიდაშვილი 25%
2. 40001005176, ტარიელ ნასყიდაშვილი 25%
3. 40001004626, ავთანდილ ნასყიდაშვილი 25%
4. 40001033049, ირაკლი ნასყიდაშვილი 25%

2022 წლის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებლებმა განახორციელეს ბინების შეძენა (თითოეულმა დამფუძნებელმა შეიძინა ერთი ბინა) საბაზრო ფასით.

დირექტორებზე და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებზე გაცემული ანაზღაურება

ლარში	31/12/2022	31/12/2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	305 101	84 438
სულ	305 101	84 438

შენიშვნა 13

პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში არ აქვს შეტანილი სარჩელები და არ აქვს სასამართლო დავები.

შენიშვნა 14

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდების ნაწილობრივ განაწილების შესახებ.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი		1 574 247	1 574 247
პერიოდის სრული შემოსავალი		1 002 715	1 002 715
გაცემული დივიდენდი	-	(1 124 213)	(1 124 213)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	0	1 452 749	1 452 749
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 686 046	1 686 046
გაცემული დივიდენდი	-	(73 684)	(73 684)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	247 850	247 850
2022 წლის 31 დეკემბერი	0	3 312 961	3 312 961

დირექტორი:



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

საქმიანობის შედეგი	2022	2021
ამონაგები:		
საქონლის გაყიდვიდან	7 2 868 009	2 219 473
მომსახურების გაწევიდან	7 180 192	83 220
სულ ამონაგები	3 048 201	2 302 693
პირდაპირი დანახარჯები:		
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(821 773)	(981 775)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(0)	(0)
სულ პირდაპირი ხარჯები	(821 773)	(981 775)
საერთო მოგება	2 226 428	1 320 918
არაპირდაპირი ხარჯები:		
დასაქმებულთა ანაზღაურება	9 (351 885)	(99 495)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9 (59 781)	(49 265)
სულ საოპერაციო ხარჯები	(411 666)	(148 760)
საოპერაციო მოგება	1 814 762	1 172 158
ცვეთა და ამორტიზაცია	9 (25 807)	(38 020)
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)	(-)	(-)
სხვა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(32 872)	49 240
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(57 034)	(9 728)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1 699 049	1 173 650
მოგების გადასახადი	13 003	170 935
მოგება/(ზარალი)	1 686 046	1 002 715
სხვა შემოსავალი	-	-
სრული შემოსავალი	1 686 046	813 346

დირექტორი:



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი		1 574 247	1 574 247
პერიოდის სრული შემოსავალი		1 002 715	1 002 715
გაცემული დივიდენდი	-	(1 124 213)	(1 124 213)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	0	1 452 749	1 452 749
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 686 046	1 686 046
გაცემული დივიდენდი	-	(73 684)	(73 684)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	247 850	247 850
2022 წლის 31 დეკემბერი	0	3 312 961	3 312 961

დირექტორი:

